ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2338335

ნომერი: AR1362401

თარიღი : 07.12.2015

გაცემის თარიღი : 10.12.2015

გაცნობის თარიღი : 10.12.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , -ში 22 - ე კორპუსთან მისასვლელ გზასა და მე-14 კორპუსს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შოთა ქუთათელაძე პ/ნ 37001008060
- სამტრედია კ.ძნელაძის ქ. N 172

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13.08.2015წ. N2062993 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 07/12/2015წ. AR1362401 განაცხადით მომართა შოთა ქუთათელაძემ და მოითხოვა ტექნიკური შეცდომის გასწორება ამავე სამსახურის 13.08.2015წ. N2062993 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის გეგმა-ნახაზებზე.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 13.08.2015წ. N2062993 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, III მიკრო/რაიონში, 22-ე კორპუსთან მისასვლელ გზასა და მე-14 კორპუსს შორის, შპს „ლუმაქ ჯგუფის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.034), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 13.08.2015წ. N2062993 გადაწყვეტილებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის გეგმა–ნახაზებზე, ტექნიკური შეცდომის გამო, ფიქსირდება უზუსტობები, კერძოდ, N45 და N48 ბინების ნახაზებზე გამორჩენილი იქნა საცხოვრებელი ფართობის მაჩვენებლების მითითება, ასევე პირველი, მეექვსე, მეცხრე და მეათე სართულების გეგმებზე, ექსპლიკაციაში, მაჩვენებლები დატანილი იქნა შეცდომით. დაშვებული შეცდომების გამოსწორების მიზნით, განმცხადებლის მიერ, გასწორებული სახით, წარმოდგენილი იქნა: პირველი სართულის გეგმა 0.00 ნიშნულზე, მეექვსე სართულის გეგმა 16.80 ნიშნულზე, მერვე სართულის გეგმა 23.40 ნიშნულზე, მეცხრე სართულის გეგმა 26.70 ნიშნულზე და მეათე სართულის გეგმა 30.00 ნიშნულზე.

სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ სამსახურის 13.08.2015წ. N2062993 გადაწყვეტილებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის გეგმა–ნახაზებზე, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განმარტების შესაბამისად, ფიქსირდება ტექნიკური ხარვეზები. ამასთან, განმცხადებლის მიერ, 07/12/2015წ. AR1362401 განაცხადის შეტყობინებების ველის მეშვეობით წარმოდგენილი გასწორებული გეგმები შესაბამისობაშია შეთანხმებულ კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და სამსახურის 13.08.2015წ. N2062993 გადაწყვეტილებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის გეგმა–ნახაზებზე, ტექნიკური შეცდომის გამო დაშვებული უზუსტობების გასწორების მიზნით, სამსახურის 13.08.2015წ. N2062993 გადაწყვეტილებით შეთანხმებული პირველი სართულის გეგმა 0.00 ნიშნულზე, მეექვსე სართულის გეგმა 16.80 ნიშნულზე, მერვე სართულის გეგმა 23.40 ნიშნულზე, მეცხრე სართულის გეგმა 26.70 ნიშნულზე და მეათე სართულის გეგმა 30.00 ნიშნულზე, ჩაანაცვლოს, განმცხადებლის მიერ, 07/12/2015წ. AR1362401 განაცხადის შეტყობინებების ველის მეშვეობით წარმოდგენილი გეგმებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13.08.2015წ. N2062993 გადაწყვეტილებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის გეგმა–ნახაზებზე და სამსახურის 13.08.2015წ. N2062993 გადაწყვეტილებით შეთანხმებული პირველი სართულის გეგმა 0.00 ნიშნულზე, მეექვსე სართულის გეგმა 16.80 ნიშნულზე, მერვე სართულის გეგმა 23.40 ნიშნულზე, მეცხრე სართულის გეგმა 26.70 ნიშნულზე და მეათე სართულის გეგმა 30.00 ნიშნულზე, ჩანაცვლდეს, განმცხადებლის მიერ, 07/12/2015წ. AR1362401 განაცხადის შეტყობინებების ველის მეშვეობით წარმოდგენილი გეგმებით.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13.08.2015წ. N2062993 გადაწყვეტილებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.